



ახალი ბუნათმეტყველება

17 - 23 დეკემბერი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№39 (713) გაემოქმედის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



ნარკოტიკული შთაბეჭდილება, რომელმაც ჩემი მომავალი გერმანიას დაუკავშირა

რუბრიკის „ქართული სტუდენტები უცხოეთში“
სტუმარია ბიორგი ბრეგაძე, ღრუბლენის
ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი



ინსტრუქტივი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მასწავლებლის დახმარებას ემსახურება

გვ. 3

გვიანაზრობა ირინა სამსონია, უწყვეტი პროფესიული განათლებისა და კარიერული
წინსვლის პროგრამის ხელმძღვანელი

„თუ მასწავლებლები გააცნობიერებენ თვითშეფასების კითხვარის მნიშვნელობას და ისწავლიან საკუთარი საქმიანობის ობიექტურად შეფასებას, რასაკვირველია, ჩვენ თანდათანობით შევძლებთ სასწავლო გარემოს შესამჩნევად გაუმჯობესებას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლები შეეცდებიან პროცესის ფორმალიზება მოახდინონ და არაჯანსაღი მომსახურებით ისარგებლონ, მაშინ ყველაფერი აზრს დაკარგავს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ – ობიექტური თვითშეფასება არ შეიცავს არანაირ საფრთხეს მასწავლებლისთვის კარიერული თვალსაზრისით. ეს არის მათი პროფესიული განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება.“

გვ. 4

ქართული მოსწავლეები ევროპის ბირთვული კვლევის ცენტრში

გვ. 5





კავკასიის უნივერსიტეტი CAUCASUS UNIVERSITY

კავკასიის უნივერსიტეტი (სახელმწიფო მართვის სკოლა) აცხადებს კონკურსს პროფესორის (1 ვაკანტური ადგილი), ასოცირებული პროფესორის (2 ვაკანტური ადგილი) თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ მიმართულებათა: კუანტიტატიური მენეჯმენტი; სოციალური მენეჯმენტი

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) პროფესორისთვის

- დოქტორის აკადემიური ხარისხი შესაბამის სფეროში;
• ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 6-წლიანი გამოცდილება.

ბ) ასოცირებული პროფესორისთვის

- დოქტორის აკადემიური ხარისხი შესაბამის სფეროში;
• ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

პროფესორის თვისებები:

- პასუხისმგებლობის გრძობის მაღალი დონე;
• ადამიანებთან ურთიერთობის უნარი, კომუნიკაბელურობა;
• პრეზენტაციის უნარი;
• პედაგოგიური უნარ-ჩვევები;
• ანალიტიკური, ლოგიკური აზროვნების უნარი, კრეატიულობა;
• დისციპლინიზებული, მოტივირებული.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

- კურსის/კურსების სილაბუსი/სილაბუსები;

- CV-რეზიუმე;
• პირადობის მოწმობის ასლი;
• კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
• სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;
• გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;
• სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:

- I ეტაპი - წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადარჩევა; II ეტაპი - პრაქტიკული; III ეტაპი - კონკურსის შეჯამება.

დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, გამოგზავნოთ მითითებული დოკუმენტები ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მისამართზე: hr@cu.edu.ge გთხოვთ, სახელს დასახელავს ველში მითითებულ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის და დისციპლინის სახელწოდება!

საპატივების მიღება ინარჩუნებს

2016 წლის 17 იანვრიდან 2016 წლის 17 თებერვლის ჩათვლით

კავკასიის უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია და დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან.

კონკურსი უფროსკლასელთათვის

„ზღაპრები და ლეგენდები ბებიას სკივრიდან“ ბახდი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქობაბი!

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საფუძველი ჩაუყარა უფროსკლასელთა კონკურსს სახელწოდებით „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქობაბი“. წელს კონკურსი მეთხუთმედ იღებს სტარტს. თავად მიმართულების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ყოველწლიურად იცვლება კონკურსის თემატიკა. პირველად, 2012 წელს, კონკურსი ზოგად, გაცნობით ხასიათს ატარებდა. მომდევნო ორი წლის განმავლობაში კონკურსმა კონკრეტული ამოცანები დაისახა თემებით: „ტრადიციული ხელსაქმე და ხელოსნობა“ და „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ტრადიციები საქართველოში“.

წელს საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების უფროსკლასელებს ვთავაზობთ კონკურსის თემაზე „ზღაპრები და ლეგენდები ბებიას სკივრიდან“.

კონკურსის მიზანია:

- გამოავლინოს უხუცესების მემკვიდრეობაში შემონახული სხვადასხვა კუთხის უძველესი ზღაპრები და ლეგენდები, ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუშები;
• გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ინტერესი მათი კუთხის არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ;
• ჩართოს საქართველოს ახალი თაობა არამატერიალური მემკვიდრეობის ნიმუშების მოძიებასა და ფიქსაციაში;
• გაუღვივოს მათ ინტერესი წინაპრების კულტურისა და შემოქმედებისადმი.

კონკურსის მოთხოვნა ორ ტურად: პირველი ტური

გულისხმობს სკოლაში მოსწავლეთა ნამუშევრების პირველად სელექციას, რომელიც, სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საკონკურსო პირობების ყველა ნორმის დაცვით იქნება შერჩეული და გადმოგზავნილი მითითებულ ელმისამართზე (იხ. საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა), საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელობამ თავად უნდა გაუწიოს მოსწავლეს ტექნიკური დახმარება.

მითითებული ნაშრომი უნდა მოიცავდეს:

- 1. ვორდის ფაილში დაწერილ საკონკურსო ნამუშევარს;
2. მოსწავლეების მიერ მოთხრობილი ამბის მიხედვით ცალკე შესრულებულ (დახატული, გამოძერწილი, კონსტრუირებული და სხვ.) ილუსტრაციებს და მათი მაღალი ხარისხით გადაღებულ ფოტოებს (რაოდენობა შეზღუდული არ არის). ფოტოები უნდა გადმოიგზავნოს ვორდის ფაილში შესრულებულ ნაწილთან ერთად jpg ფორმატში;
3. ელემენტზე მუშაობის ამსახველი ფოტომასალა, გადმოგზავნილი ასევე jpg ფორმატით;
4. ვორდის ფაილში დაწერილი ნაშრომი გაფორმებული უნდა

იყოს მონაწილის მიერ შესრულებული ილუსტრაციების ფოტოებით, რათა ნამუშევრების გადარჩევისას კომისიის წევრებს გაუადვილდეთ მათი შეფასება.

სასურველია ნიმუში ჩაინეროს თქვენი რეგიონის (სოფლის, ქალაქის, ქუჩის, უბნის, ოჯახის, და ა.შ.) მკვიდრი მოსახლისაგან.

სასურველია მოძიებული და ჩანერილი ნიმუში ფართე საზოგადოებისთვის ნაკლებად იყოს ცნობილი.

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად შერჩეული საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოგზავნოს:

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com,
• ან გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში,
• ან მოგვანოდოს ფოსტით - „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“, მისამართზე: თბილისი, 0105, თაბუკაშვილის ქ. 5.
საინტერესო ნაშრომების ავტორები მონაწილეობას მიიღებენ მეორე ტურში.

მეორე ტური

მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორების შენიშვნების გათვალისწინებით, ჩაასწორებენ ნიმუშებს და ხელახლა გადმოგზავნიან კონკურსის გამარჯვებულის გამოსაცემად.

გამარჯვებული ნიმუშების მიხედვით შედგება ილუსტრირებული კრებული, რომელიც გამოიცემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯილდოვდება საგანგებო სიგელით და მიიღებს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქობაბის“ ნოდებს. ნამუშევრები გამოქვეყნდება გაზეთ „ახალ განათლებაში“. გაშუქდება მასმედით.

საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა:

- 1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში - დასახელება;
2. იდეის ავტორი - სახელი, გვარი;
3. ხელმძღვანელი პედაგოგი - სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელმისამართი);
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება;
5. სკოლის დირექტორი - სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელმისამართი);
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მითითებულ ყველა სათაური და დაურთეთ კომენტარი);
7. ნიმუშის აღწერა.

აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში (ზღაპარი, იგავი, თქმულება, ლეგენდა და ა.შ.) - მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ;
• ნიმუშის სახელწოდება (აგრეთვე, მითითებულ თუ არის ცნობილი თქვენ მიერ აღწერილი ნიმუშის განსხვავებული, სხვა სახელწოდება);
• ნიმუშის ჩანერის აღწერილობა - სად, როდის, რისთვის და ვის მიერ იქნა მოთხრობილი და ჩანერილი ეს ნიმუში და ვისგან აქვს მოსმენილი თავად მის მოთხრობელს;
• ტრადიციულად, რა დროს, რა შემთხვევაში ჰყვებოდნენ მას (ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღწერეთ გარემოება, როდესაც ჰყვებოდნენ ამ კონკრეტულ ნიმუშს);
• რას უკავშირდებოდა აღნიშნული ამბის თხრობა/გამოყენება/შესრულება;
• რა ატრიბუტები უკავშირდება/თან ახლავს მის თხრობას/გამოყენებას/შესრულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში დააფიქსირეთ ფოტოზე);
• სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული ნიმუშის თხრობის დროს;
• რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, ან რელიგიურ, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაასაბუთეთ შემოთავაზებული ნიმუშის მნიშვნელობა (უნიკალობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (რეგიონისთვის, სოფლისთვის, ოჯახისთვის, სკოლისთვის...), საზოგადოებისათვის;
• აღწერეთ თავად ნიმუში - სასურველია, სიტყვების საერთო რაოდენობა არ იყოს 500 სიტყვაზე ნაკლები.

სპეციფიკის გათვალისწინებით წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო (შესაძლებლობის შემთხვევაში), ასევე ჩანახატი, ჩანახაზი, შაბლონი, სქემა, ესკიზი და სხვ.

ნამუშევრებს, სპეციფიკის მიხედვით ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები.

გადმოგზავნის ვადა 2016 წლის 1 მარტი.

გვეკონტაქტეთ: სამუშაო დღეებში (32)298-39-24, 13სთ-დან 15სთ-მდე ან 599 08 40 03; 599 08 40 14; aramaterialuri@yahoo.com მაკა თაქთაქიშვილი, სალომე ხმიადაშვილი, კოტე ნაცვლიშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის არამატერიალური მემკვიდრეობის განყოფილება

სასკოლო აქტივობა

იაკობ გოგებაშვილი - 175

იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 175 წლისთავს მიძღვნილი პროექტი „დაილოცოს დედაენის შემოქმედი“, რომელიც გეზათის საჯარო სკოლაში (დირექტორი - ნათელა კიკაბიძე) განხორციელდა. პროექტის ხელმძღვანელი იყო დანაყვებითი კლასების სერტიფიცირებული მასწავლებელი ზაირა რევაზიშვილი.

პროექტის განხორციელებაში აქტიურად ჩაერთნენ I-IX კლასების მოსწავლეები, დამრიგებლები: ირმა ჭანტურია, ელიკო შუბლაძე, იზაბელა გაბუნია და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ქეთევან ვეკუა და ლოლა ქურასხედიანი.

პროექტის ფარგლებში, მოენყო მოსწავლეთა ნახატების გამოფენა თემაზე - „იაკობ გოგებაშვილის პერსონაჟების



ილუსტრაციები“, გამოვიდა სასკოლო კედლის გაზეთი; ჩატარდა ღონისძიება „დაილოცოს დედაენის შემოქმედი“, რომელიც მუსიკალურად გააფორმა მუსიკის მასწავლებელმა გულისა კიზირიამ, ხოლო დეკორაციებზე იზრუნეს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელმა სოფიო ჯიბლაძემ და მე-9 კლასის მოსწავლეებმა.

წარმოდგენილი იყო ნაწყვეტები იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიიდან, წაიკითხეს ლექსები, შესრულდა თემის შესაბამისი სიმღერები.

V-VIII კლასების მოსწავლეებმა წარმოადგინეს ინსცენირებები იაკობ გოგებაშვილის მოთხრობების მიხედვით: „ბრმა და კოჭლი“, „სიზარმაცეს მათხოვრობა მოსდევს“. განსაკუთრებით შთაბეჭდავი იყო მერვეკლასელების: ლია ფირცხელავას, ქეთევან გაბუნიას, ნინო მელიას, გიგლა გაბუნიას, ვასილ ჯიბლაძისა და ვასო გიგინიშვილის მიერ წარმოდგენილი „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“ და მეშვიდეკლასელების: ანი ფირცხელავას, მარიამ გაბუნიას, მარიამ ქუქჩიშვილის და თემურ გოგავას მიერ განსახიერებული სცენა მოთხრობიდან „აივან-ნამ რა ჰქმნა?!“.

ღონისძიებამ დიდი მოწონება და ოვაციები დაიმსახურა მასწავლებელთა მხრიდან, კიდევ ერთხელ წარმოჩინდა იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი და დამსახურება ქართველი ერის წინაშე. სკოლის შთაბეჭდილების წიგნში უამრავი ჩანაწერი გაკეთდა.

პროექტი სკოლამ დანაყვებითი კლასების მასწავლებლის, ლიანა ჯიბლაძის ნათელ სსოვნას მიუძღვნა, იგი სწორედ იაკობ გოგებაშვილის „დედაენით“ აზიარებდა პატარებს ქართული სიტყვის მადლს.

ქეთევან ვეკუა
სსიპ აბაშის მუნიციპალიტეტის
სოფელ გეზათის საჯარო სკოლის სახელმწიფო ენის
კათედრის თავმჯდომარე



იუბილე

ერთფეროვან ყოფიერებას მრავალფეროვანს ხდის

მაგული ვლადიმერის ასული ჯინჭარაძე-ცინცაძე 1945 წლის 22 ივნისს დაიბადა. დანაყვებითი კლასების მასწავლებლად მუშაობა, თბილისის მე-11 საჯარო სკოლაში, 1992 წლიდან დაიწყო. საბინო, თამაშვერცხლილი, მხრებში ჯერ კიდევ გამართული, ღვანდომოსილი პედაგოგი, უკვე 23 წელია, სითბოთი და სიყვარულით ავსებს ყველას - მოსწავლეებსა და კოლეგებს. მისი საინტერესო გაკვეთილები თაობებს ახსოვთ. მასზე ერთნაირად თბილად საუბრობენ ყოფილი თუ ახლანდელი მოსწავლეები, კოლეგები, ისინი, ვინც წლებია მაგული მასწავლებლის ნაღვანს იცნობენ და ისინიც, ვინც ერთი ნახვით შეიცნეს მსცოვანი პედაგოგის ინტელექტი, ღრმა ადამიანური ბუნება. მაგული მასწავლებლები უშურველად გასცემს სიკეთესა და სითბოს, რჩევასა და სიყვარულს, ჭირსა და ღვინში ერთგული და უღალატო ადამიანია.

ისეთი მასწავლებლები, როგორც ქალბატონი მაგულია, დროს ამარცხებენ, ერთფეროვან ყოფიერებას მრავალფეროვანს ხდიან, მათ დიდხანს უნდა იცოცხოვონ, რომ მრავალი თაობა აღზარდონ.

ქალბატონი მაგულის საუბილო სადამომ, ჩვენს სკოლაში, მსგავსი საუბილო დღეების აღნიშვნის ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი. 23 წლის განმავლობაში დაგროვილი სამადლობელი 2 საათში უნდა ჩატყუიყო, მსურველი ბებრი იყო, სკოლაში არ დარჩენილა კლასი, საიუბილო სადამომი მონაწილეობის სურვილი რომ არ გამოეთქვა.

სალამო გაიხსნა ქალბატონი მაგულისადმი მიძღვნილი სიმღერით - „მასწავლებლო“, რომელიც V-VII კლასის მოსწავლეებისგან შემდგარმა მომღერალთა გუნდმა (ხელმძღვანელი - მუსიკის პედაგოგი ქეთევან ტუკვაძე) შეასრულა. მეორეკლასელმა ლევან ქირიამ ამავე სკოლის დანაყვებითი კლასების პედაგოგის, ინა გაფრინაშვილის ლექსი წაიკითხა. XII კლასის მოსწავლემ, ანი ჭირაქაძემ, კლასის სახელით, მადლობა გადაუხადა მაგული მასწავლებელს. ეს ის კლასია, რომელსაც ქალბატონმა მაგულიმ ანა-ბანა შესწავლა.

III (ხელმძღვანელი - მაია ხოსიაური) და VIII (ხელმძღვანელი - ქეთევან ვეფხვაძე) კლასების მოსწავლეებმა იუბილარს ლექსები წაუკითხეს და სამადლობელი სიტყვებით მიმართეს.

გიორგი ლაზაშვილი: „განა მხოლოდ ანბანი, თქვენ გვასწავლეთ ერთმანეთის სიყვარული, მეგობრობა, სწავლის სიძნელებთან შეჭიდება. როგორც დედის დავიწყება შეუძლებელი, ასევე შეუძლებელია თქვენი, ჩვენი მასწავლებლის დავიწყება. თქვენ გავციხადეთ საქართველო დასაფიცარი და ბედნიერად თავს ჩავთ-

ვლით, თუკი გვეღირსა, ოდესმე თქვენგან სიამაყით ჩვენზე ნათქვამი - ეს ახალგაზრდა, მე რომ მინდოდა, სწორედ ის არის.“

გიორგი ზაბთაშვილი: „თქვენ გული მოგვეციტო საგზადად, თუ დაგჭირდება ჩვენი შვილობა, ჩვენ ამისთვის ყოველთვის მზად ვართ.“

IV კლასის (ხელმძღვანელი - ლეილა ბარაბაძე) მოსწავლეებმა შეასრულეს ცეკვა „აფხაზური“, V კლასელებმა (ხელმძღვანელი - თამარ ჯაფარიშვილი) - ცეკვა „აჭარული“. სალამოს კულმინაცია იყო III კლასის (ხელმძღვანელი - ნანა გოგინაშვილი) მოსწავლეების მიერ შესრულებული ხალხური სიმღერა.

III კლასელებმა, მანანა ბარდაველიძის ხელმძღვანელობით, ქალბატონი მაგული მათ მიერ მოწყობილ საშემოდგომო საღამოზე საპატიო სტუმრის სტატუსით მიიწვიეს.

ხელოვნების სტუდიის „ჩოხოსნები“ (ხელმძღვანელი - დარეჯან ლეკვეიშვილი) აღსაზრდელებმა „რაჭული“ ცეკვით გაახალისეს დამსწრე საზოგადოება.

2007 წლის კურსდამთავრებულებმა - ნინო ბოჭორიშვილმა, მარიამ ასტამაძემ, ფიქრია ფარცხელაძემ, რატი სიოტაშვილმა, გიორგი ჩაბაკურმა, გიორგი ლატარიაშვილმა, თამარ მაისურაძემ, ანა ციცანაშვილმა - ქალბატონი მაგულის სიურპრიზი მოუწყვეს, აჩვენეს სლაიდშოუ - 1996-97 სასწავლო წელს მის მიერ მიღებული „მტირალა“ პატარები და 1999 წელს „დაფრთიანებული მერცხლები“. სლაიდშოუში ჩართული იყო ვიდეომიმოცვები: ბათუმიდან - ნინო ხუხუნეიშვილის, ჩეხოსლოვაკიიდან - ხატია ღვინიაშვილის და გერმანიიდან - მარიამ არბილიშვილის. სიურპრიზმა სალამოს სევდიანი განწყობა შემატა.

ღონისძიების დასასრულს, მე-11 სკოლის დირექტორმა, ნინო ჯაბანიშვილმა, მადლობა გადაუხადა ქალბატონი მაგულის და „ღვანულ-მოსილი პედაგოგის“ სერტიფიკატი გადასცა. ასევე, მადლობა გადაუხადა თითოეულ პედაგოგს, განსაკუთრებით დანაყვებითი კლასების კათედრას, ღონისძიების სულისჩამდგმელებს - ლაურა ბიძინაშვილს და ლორენა კვარაცხელიას.

ღონისძიებამ თან ახლდა სლაიდების ჩვენება, რაც კიდევ უფრო ამძაფრებდა ემოციას, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვება მაგული მასწავლებელს.

თბილისის მე-11 საჯარო სკოლის კოლექტივი ულოცავს ქალბატონი მაგულის 70 წლის იუბილეს და უსურვებს ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი



სასკოლო აქტივობა

„ახალი ლიცეუმის“ მოსწავლეები GAU-ში

2015 წლის 8 დეკემბერს, კერძო სკოლა „ახალი ლიცეუმის“ ინგლისურენოვან კლუბ „ახალგაზრდა მაძიებლების“ წევრებმა, ლიცეუმის დირექტორის მოადგილის, **მაია მესხის** ინიციატივით, ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში, ჩაატარეს სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია თემაზე: „რა სასწავლო საშუალება“.

კლუბის პრეზიდენტი ინგლისური ენის პედაგოგი **ირინა დიასამიძე**. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ლიცეუმის მოსწავლეები: **ირაკლი ანთიძე /VIII კლ/, ლუკა ლაბაძე /VIII კლ/, ზურა ჩხეიძე /IX კლ/, ლუკა უდუმამ-ვილი /IX კლ/, ანა ზუბადალაშვილი /X კლ/, მარიამ ბოკუჩავა /X კლ/, ანა საჯავაძე /X კლ/, გიორგი ქავთარაძე /X კლ/ და მარიამ გიკოშვილი /XI კლ/.** მონაწილეებმა ინგლისურ ენაზე ისაუბრეს მსოფლიოს სხვადასხვა ლინგვისტის ნიშნობაზე, ქანდაკებასა თუ ნაგებობაზე.

დამსწრეთ უჩვენეს დოკუმენტური მასალა შესაბამის თემებზე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებებისა და დიპლომატიის ფაკულტეტის დეკანი **ზაზა რუხაძე**, ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი **რუსუდან ციციშვილი**, უნივერსიტეტის თვითმმართველობა და სტუდენტები სხვადასხვა ფაკულტეტიდან. ბატონმა **ზაზა რუხაძემ** და ქალბატონმა **რუსუდან ციციშვილმა** მაღალი შეფასება მისცეს მოსწავლეთა ამ წამოწყებას, მოიწონეს კონფერენცია და გამოთქვეს მოსაზრება, რომ სასურველია ასეთი ფორმატის ღონისძიებების პრაქტიკაში დანერგვა.

ციცინო მიქიაშვილი ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი



გამოფანა

შესაძლებლობები შეუზღუდავია

2015 წლის 3 დეკემბერს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში გამართული შუბ მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა.

გამოფენა გახსნა მუზეუმის დირექტორმა, პროფესორმა **ომარ ლანდავამ**, შუბ მოსწავლეებს საერთაშორისო დღე მიულოცა და აღნიშნა, რომ მსგავსი გამოფენა მუზეუმის ისტორიაში პირველად გაიმართა. მან ყველა მონაწილეს და ზოგადად ყველა შუბ პირს უსურვა ჯანმრთელობა და დაჰპირდა პაემებს, რომ ამ დღესთან დაკავშირებული გამოფენა მომავალ წელსაც გაიმართება, მემორანდუმის გაფორმებაც შესთავაზა და აღნიშნა, რომ მუზეუმი, მომავალშიც, მათი კეთილი ნამოწყების მხარდაჭერი იქნება.

გამოფენის გახსნაზე მისულ საზოგადოებას სიტყვებით მიმართეს: ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის დირექტორმა **ლია კილაძემ**, ამავე ორგანიზაციის შუბ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამების კოორდინატორმა **ხათუნა ცხანავამ**, თერჯოლის შუბ ბავშვთა დღის ცენტრის „საპოვნელა“ პედაგოგმა **თამარ აბუანდაძემ**, სამტრედიის შუბ ბავშვთა დღის ცენტრის „ლაშქარი“ პედაგოგმა **მუქია თვალაბერიშვილმა**, სსიპ ქუთაისის №8 საჯარო სკოლის სპეცმასწავლებელმა **მზია ზარნაძემ**, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის „კრისტალი“ წარმომადგენელმა **ნინო სებისკვერამ**, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა იმერეთში **მადონა ბასილაძემ**, აიპ სახელოვნებო, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელმა **ელისო ქაროსანიძემ**. გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ ცნება „შეზღუდული შესაძლებლობა“ რეალურად უნარშეზღუდულებს არ ნიშნავს, რადგანაც მათ შეუძლიათ აქტიურად ჩაებან საზოგადოებრივ ცხოვრებაში და საზოგადოებისათვის იმდენი აკეთონ, რამდენიც „სრულფასოვან“ ადამიანებსაც არ შეუძლიათ ხოლმე. ჩამოთვალეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მსოფლიოში ცნობილი და დიდი მოღვაწეების ლეგენდარული სახელები: ალ-



ბერტ აინშტაინი – ცნობილი ფიზიკოსი და თეორეტიკოსი, ფრანკლინ დელანო რუზველტი – აშშ-ს 32-ე პრეზიდენტი, ჰორაციო ნელსონი – ინგლისის ფლოტის ადმირალი, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი – ლეგენდარული კომპოზიტორი.

გამოფენის ორგანიზატორები იყვნენ: ქუთაისის №8 საჯარო სკოლის სპეცმასწავლებელი, ქუთაისის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის თანამშრომლები. მათთან ერთად, გამოფენაში მონაწილეობდნენ: სოციალური საწარმო „ფარშევანგის“, ქუთაისის, თერჯოლისა და სამტრედიის შუბ ბავშვთა დღის ცენტრების წარმომადგენლები, იმერეთის რეგიონის სამი საჯარო სკოლა: ქუთაისის №8, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მუხიანის და ბაღდადის მუნიციპალიტეტის ნითელხევის საჯარო სკოლები.

სამივე სკოლის მონაწილეებს – ქუთაისის №8 საჯარო სკოლის მოსწავლეს – **გურამ ჯგბაშვილს**, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მუხიანის საჯარო სკოლის მოსწავლეს – **მარი ნატრიაშვილს** და ბაღდადის მუნიციპალიტეტის ნითელხევის საჯარო სკოლის მოსწავლეს – **ვენერა გენელიძეს** – გადაე-

ცათ სიგელები.

გამოფენამ დიდი მონონება დაიმსახურა, ძალიან ემოციური განწყობა იყო, ახლაც ცრემლიც და ღიმილიც. უდიდესი მადლიერება გამოთქვეს მშობლებმა.

რომან ჯგბაშვილი, გამოფენის მონაწილე **გურამ ჯგბაშვილის** მამა: „დღევანდელი დღე არასოდეს დამავიწყდება. ბოლო წლებია ჩემი შვილის შესაძლებლობები დღითი დღე იზრდება. მას აქვს სურვილი ჩაერთოს სხვადასხვა ღონისძიებაში, გახდა უფრო კონტაქტური, ხალისიანი, დამჯერი. აქვს სწავლის სურვილი, გაკვეთილზე ერთვება სხვადასხვა აქტივობებში, რაც ძალიან მახარებს. დღევანდელი დღე, პირადად ჩემთვის და ჩემი შვილისთვის, დაუფინყარი იქნება. ყველას ძალიან მოეწონა გამოფენა და გუგას ნამუშევრებიც. გუგა ძალიან გაახარა სიგელით დაჯილდოვებამ. დიდი მადლობა ასეთი დამოკიდებულებისათვის.“

ნათია გიორგობიანი, ბაღდადის მუნიციპალიტეტის ნითელხევის საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლის, **ვენერა გენელიძის** მშობელი: „სპეცმასწავლებელმა **მარინა იოსებაშვილმა** მითხრა, რომ 3 დეკემბერს

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში ვიყავით მიწვეულები, თან შენი შვილის ნაქარგი უნდა წავიღოთ. მეც დავთანხმდი, მაგრამ, ცოტა არ იყოს, მრცხვენოდა. როცა ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში შევედი, სირცხვილი გამიწვინდა. ლამაზობით გაჩახჩახებულ დარბაზში ბევრ ბავშვს მოეყარა თავი, აქვე იყო მათი ნამუშევრებიც: ზოგი – თექაზე, ზოგი – ბამბაზე, ზოგი – ნაქარგი, ზოგი – ნახატი, ზოგი – ფოტონამუშევარი. თვალი გადავხედე ექსპოზიციას და სიამაყის გრძნობა დამეუფლა. ვიდექი და ვუყურებდი ბავშვების გაბრწყინებულ სახეებს. მეც და ჩემი შვილიც ბედნიერები ვიყავით. მადლობა მინდა გადავუხადო ამ ღონისძიების ორგანიზატორებს.“

თამარ ჩაკვეტაძემ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მუხიანის საჯარო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლის, **მარიამ ნატრიაშვილის** მშობელმა, პირველ რიგში, მადლობა გადაუხადა იმერეთის მხარის გუბერნატორს და მის აპარატს, იმისათვის რომ მის შვილს საჩუქრად მოუტანეს ეტლი, ასევე მადლობა გადაუხადა სპეცმასწავლებელს – **იზოლდა აფრიდონიძეს**, კოორდინატორს – **გულნარა ქილიფთარს**, სკოლის დირექტორს – **მამუკა ქვარაქიძეს**. ქალბატონმა თამარმა აღნიშნა: „ეტლის გამომცემის სიხარულს ჩემი შვილის ქუთაისის მუზეუმში მიწვევა დაემატა, სადაც შუბ პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ გამოფენაში უნდა მიეღო მონაწილეობა თავისი ნახატებით, რისთვისაც სიგელი გადაეცა. მარი ძალიან ბედნიერია და, რა თქმა უნდა, მეც ბედნიერი ვარ. მადლობა ყველას, ვინც ეს სიხარული მოგვანიჭა.“

გამოფენა „დაასრულა“ უგემრიელესმა ტორტმა „ჩვენი ფერადი სამყარო“.

„შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს, შესაძლებლობები შეუზღუდავია“ – ერთსულოვნად აღნიშნეს გამოფენის მონაწილეებმა და კმაყოფილებით დატოვეს მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზები.

მზია ზარნაძე

სსიპ ქ. ქუთაისის №8 საჯარო სკოლის სპეციალური მასწავლებელი



თვალსაზრისი

დავისვით ქართული ენა – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა

ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ქართული ენა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა და საქართველოს ყველა მოქალაქე ვალდებულია სრულყოფილად ფლობდეს ქართულ ენას, ისაუბროს გამართული ქართულით. ხშირად ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს ვსაყვედურობთ, რომ ცუდად საუბრობენ ქართულად ან საერთოდ არ ფლობენ მას. საკითხის დაყენება სწორია, მაგრამ მაშინ როცა საზოგადოებაში ყოველ მეორე სიტყვად ხმარობენ „მაგარია“, „დანაშაულის თავიდან აცილების“ მაგივრად იყენებ „პრევენციას“, კაპიტალ დაბანდება ცვლიან „ინვესტიციით“, მალაზიის ნაცვლად „მარკეტს“ და „სუპერმარკეტს“ ხმარობენ, როგორ გინდა მოითხოვო სახელმწიფო ენის ცოდნა რიგითი მოქალაქისაგან, ისიც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლისაგან.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ქართული ენის გრამატიკის მოთხოვნების უხეში დარღვევა და უცხო სიტყვების განსაკუთრებით ინგლისური სიტყვების პირდაპირ გამოყენება ქართულად საუბრისას ან სასწავლო პროგრამების შედგენისას პროფესორ-მასწავლებლების, სკოლის პედაგოგებისა და სტუდენტების მიერ.

დღეს ქართულ უნივერსიტეტებში სასწავლო გეგმის ადგილი მყარად დაიკავა „სილაბუსმა“, ასევე განათლების სამინისტროს თანამშრომლებისა და უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებელთა საუბრისას ან ტელევიზიით გამოსვლის დროს ხშირად მოისმენთ თუ როგორ იყენებენ ქართულად საუბრისას უცხოურ სიტყვებს: „კურიკულუმი“, „კონტექსტი“, „ტრენინგი“, „სერტიფიკატი“, „მენტორი“, „სტუტორი“ და მრავალი სხვ.

ასევე ცუდი მდგომარეობაა ტრანსპორტისა და მალაზიების აბრევიატურების გაფორმებისას, მაგ.: „საავტომობილო ქარხანა-პლაზადაკა“ – ვკითხულობთ ნომერი 100 მიკრო ავტობუსის საქარე მინაზე. ავტომობილებს საწარმოებსა და ავტონაწილების მალაზიებში ყველგან იყენებენ რუსულ ჟარგონებს – სავალი ნაწილების შემკეთებლის ნაცვლად ვკითხულობთ „ხადავიკ“, „ატვიორტკა“, „კლუზი“ და სხვ. ქვეყანაში ყველაფერი მონმდება: მძღოლების მიერ მოძრაობის წესების დაცვა, პროდუქტების ქიმიური შემადგენლობა და ხარისხი, მოსწავლეებისა და სტუდენტების ცოდნის ხარისხი, რატომ არ უნდა მონმდებოდეს ქართული ენის – საქართველოს სახელმწიფო ენის სინმინდის ნორმების დაცვა? შემონმება უნდა და ვინცოთ ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების, პროფესორ-მასწავლებლებისა და საჯარო სკოლების პედაგოგების შემონმებით. მკაცრად უნდა იქნას გაფრთხილებული ჟურნალისტები და ტელეწამყვანები – არ დაუშვან ქართული ენის სინმინდის ნორმების დარღვევა. დარღვევების აღმოჩენისას, კარგი იქნებოდა თუ გამოიყენებდით ფულად ჯარიმებსაც.

აღნიშნული მიმართულებით შეცდომებს უშვებენ თვით განათლების სისტემის მუშაკებიც. კვალიფიკაციის ამაღლების ნაცვლად – „ტრენინგს“, დამრიგებელი მასწავლებლის მაგივრად – „მენტორ“ მასწავლებელს და ა.შ.

„მე სერტიფიკატი მაქვს“ – ამაყად აცხადებს მასწავლებელი, რომელმაც გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. მან არ იცის, რომ სერტიფიცირება შეიძლება უსულსაგნების მაგ.: კვების პროდუქტებისა და სამრეწველო საქონლის და არა სულიერისა. ეს მდგომარეობა საგანგაშოა და დაუფრთხილები უნდა დაისახოს ღონისძიებები მის გამოსასწორებლად. გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და ქართული ინტელიგენციის მონიწივე ნაწილმა.

ქართული ენის მალალ დონეზე ცოდნას უნდა მიეცეს ყურადღება ხელისუფლების ორგანოებში მალალ თანამდებობებზე დანიშნვის დროს. გადასახედა მიდგომა, რომ ინგლისური ენის ცოდნას უფრო დიდ ყურადღებას უთმობენ, ვიდრე ქართულის, რაც მიუტყვებელი დანაშაულია. ანალოგიური მკაცრი მიდგომა საჭირო უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორ-მასწავლებელთა და სკოლის პედაგოგთა შერჩევისას. ასეთი კონკურსების დროს, პროფესიის მალალ დონეზე ცოდნასთან ერთად, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიეცეს მშობლიური ენის მალალ დონეზე ფლობას.

სიმონ პაპიძე

აკადემიური დოქტორი, პროფესორი

საკვი – 175

სამშობლოს მომავლისკენ მიჰყვებილი ფიქრები

„აკაკი – ამ სახელის ხსენებისას ქართველი კაცის ცნობიერებაში უპირველესად წარმოსდგება მამულის საკურთხეველთან მდგარი ბიბლიური მოხუცის ღვთაებრივი სახე, რომლის ფიქრებიც სამშობლოს მომავლის-

კენაა მიჰყვებილი...“
აკაკი წერეთლის იუბილეს მიძღვნილი წიგნის თეატრში გამართული კვირეული, სალონური საღამოების სახით, რომლის ორგანიზატორი იყო წიგნის საკრებულოს



კულტურის სამსახური, ქალბატონი **მაია ტყემალაძის** ხელმძღვანელობით. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ წიგნის მუნიციპალიტეტის სკოლები. 30 ნოემბერს ნავარძეთში და კაცხის საჯარო სკოლების მოსწავლეებს საშუალება მიეცათ, კიდევ ერთხელ გადაეფიქრათ თვალისაკენ აკაკის ბიოგრაფიისთვის და გაეცოცხლებინათ პოეტის შემოქმედება. თეატრის შენობაში შესულთ საოცარი სამყარო გადაგვეშალა თვალწინ – „სულიკოსა“ და „ციცინათელას“ მუსიკის ფონზე, შესაშური ოსტატობით შესრულებული, ბუნებრივი რესურსებით შექმნილი სხვადასხვა სახის ნაკეთობა სასიამოვნოდ მყუდრო და იდუმალ გარემოს ქმნიდა. ღონისძიებას ესწრებოდნენ: რაიონის დეპუტატი **მალხაზ წერეთელი**, წიგნის პოეტი **დოდო აბაშიძე**, გამგებების წევრები, პედაგოგები, მოსწავლეები, კულტურის სამსახურის წარმომადგენლები.

დარბაზი სულგანაბული უსმენდა კაცხის საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლეთა გამოსვლას. იგრძნობოდა ემოცია, აღტაცება, განსაკუთრებით გამოიჩინა VII კლასის მოსწავლე **ანი კაპანაძე**, რომლის წარმოქმნილი ლექსები გულგრილს არასდროს ტოვებს მსმენელს; VII კლასის მოსწავლე **ბექა**

კუბატაძე აკაკის საიუბილეოდ დაწერილი საკუთარი ლექსი წაიკითხა; შესრულდა აკაკის ლექსებზე შექმნილი სიმღერების პოპური. ბატონმა მალხაზმა და ქალბატონმა მაიამ ისაუბრეს პოეტის ღვაწლსა და მოღვაწეობაზე წიგნის სახელთან, მადლობა გადაუხადეს მოსწავლეებს და უსურვეს წარმატება.

სკოლის ადმინისტრაცია მადლობას უხდის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს – **ნინო გვეხიძეს**, მუსიკის მასწავლებელს – **მაგალი ფხვალაძეს** და სკოლის თვითმმართველობის თავმჯდომარეს, მე-12 კლასის მოსწავლეს – **ოთარ ჩიხელიძეს** ღონისძიების მომზადებაში აქტიური მონაწილეობისათვის. ამ უკანასკნელმა საკუთარი ლექსებით კიდევ უფრო შთაბეჭდავი ელფერი შესძინა ღონისძიებას. მადლობა ქალბატონ მაია ტყემალაძეს, რომელმაც სტიმული მოგვცა მონაწილეობა მიგველო ამ საინტერესო პროექტში. სკოლის მიზანია, აქტიურად ჩაერთოთ ჩვენი მოსწავლეები მსგავს პროექტებში და ვაზიაროთ უკეთეს ქართულ პოეზიას.

ნორა ბუცხრიკიძე

სსიპ წიგნის მუნიციპალიტეტის სოფელ კაცხის საჯარო სკოლის დირექტორი

მასწავლებლის გიგანტობა

მასწავლებლის სამუშაო რეპული

მასწავლებლის სამუშაო რეპული პროფესორის განუყოფელი ნაწილია. რეპულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:

1. საჭიროებისამებრ შეაქმნოს ბაკვეთილის დაბეგმვის სქემის მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს ბაკვეთილის დაბეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს ბაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაბეგმვის ნიშნებს.

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია ინტერაქტიური სწავლების მეთოდები; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

შეკენის მსურველები დაგვიკავშირდით:

599880073, 0322958023

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აბაგულია კითხვა-პასუხის კონცეფციისა. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მეთოდების, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აბაგული საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგებს და მასწავლებლის სტუდენტებს.

კათედრის გაგების პროფესორი

კათედრის გაგების პროფესორი საშუალებას აძლევს კათედრის გაგების აღრიცხვას, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის მნიშვნელობა. შეასაფასოს სქემების, ცხრილებისა და კათედრის სფეროს ოქმების გარდა, პროფესორი შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პროფესორის წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

მასწავლებლის კალენდარი

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია დაეხმარება და ჩინიშნოს მისთვის საჭირო და სასურველი აბაგულები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას.

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შეასაფასებელი ბაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აბაგულებების რეკომენდაციები და თეორიული ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

ნიუნის თარი მიმდინარეობს ხელმოწერა

მასწავლებლის წიგნი

მასწავლებლის წიგნი

პუბლიკაცია მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის სანიტარულ საკითხებს. წიგნი მიმოიხილვით შედგები თემატიკა: ადრეული განათლების მნიშვნელობა გავრცელების შემდგომი განვითარებისთვის, სასკოლო მზარდის ცნება და დახმარების სტრატეგიები სკოლასთან ადაპტაციისთვის, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული რეკომენდაციები, სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სხვადასხვა მიზნების ფორმულირება, კრიტიკული აზროვნების, მათემატიკური უნარების, მეტყველების განვითარება და კონკრეტული რეკომენდაციები ზეპირმეტყველებისა და წერითი დაგეგმვისთვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სპეციფიკური დარღვევა-დისლექსია, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოძრაობითი თამაშებისთვის, განვითარებული შეფასების საშუალებები, მშობლებთან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მოწყობის სპეციფიკა, კლასის მართვის სტრატეგიები.

მასწავლებლის წიგნი

წინამდებარე სახელმძღვანელოში ავტორების მიერ პრაქტიკულად არის ახსნილი ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხების სწავლების მეთოდები როგორც პირდაპირი (დედუქციური), ისე არაპირდაპირი (ინდუქციური) სწავლების თეორიისა და სხვადასხვა სახელმძღვანელო დახმარება მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და დაგეგმილი გაკვეთილის ეფექტურად ჩატარების პროცესში.

თითოეულის ფასი - 7,30 ლარი

თამაზ ვასაძე

ქართული აბიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის

4 ლარი

ნათა ახმეტელი, ნიკო მურღულია

ისტორია

ტესტები ეროვნული გამომცემისთვის **8 ლარი**

თეორიული საკითხები და ტესტები საატესტატო გამომცემისთვის **5 ლარი**

ქეთევან ტატიშვილი, ზურაბ ბერაია

ფიზიკა

თეორიული საკითხები და ტესტები საატესტატო გამომცემისთვის **7 ლარი**

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან ინტელექტი სკოლას

ფასი - 15 ლარი

საბავშვო საბავშვო გამომცემლობის

საბავშვო გამომცემლობის

საბავშვო გამომცემლობის

წიგნი I
ქველი ქართული მწერლობა;

წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;

წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ ბელიტაშვილი, ამირან გომარტელი

თითოეული კრებულის ფასი - 12 ლარი

10 ლარი

საყვანვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი 12 ლარი

ავტორული ვიკინგები
სამურაი ფიზიკა
უდაზო ახსნილი და აუხსნელი
გამომგონებები ფანოზები
განძის ძიება კომპიუტერი და ცათამბჯანები
გლადიატორები უკვლესი ადამიანები
დრო და კალენდარი მათემატიკა
ქველი ეგვიპტე ქველი რომი
ეპროვა ქველი საბერძნეთი

რა არის რა

კაცია

გთავაზობთ 10 ტომს

ენციკლოპედიის სერიიდან „რა არის რა“

საყვანვილო ფასად. პირველი 10 საცემო წიგნი

თითო ტომს, 12 ლარს ნაცხად, 7 ლარად მიიღებს.

კაცია

ავიანი
არქიტექტურა
კრიმინალისტიკა
ჯანსაღი კვება
მთავი
ოლიმპიური თამაშები
მეკობრეობა
ქიმიკა
ხალხთა დიდი გადასახლება
მეცნიერება

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები - შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ყურადღება! ფიზიკურად პირებზე, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42x59.4 სმ)

- წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
- წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
- ფერები
- გარეული ცხოველები
- გარეული ფრინველები
- პროფიციები
- შინური ცხოველები და ფრინველები
- ჰიგიენის ნივთები
- საოჯახო ნივთები
- ტრანსპორტი
- წყლის პინაქლები

2.50 ლარი

მალატი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4x84.1 სმ)

- რელიგიის წარმოშობა
- გარეული ფრინველები საძარტველოში
- გარეული ცხოველები საძარტველოში
- მწერები
- ძვეწარმგებელი საძარტველოში
- საძარტველოს მცენარეები
- სამყაროს წარმოშობა
- წინადატი - სიტყვების წყარო
- რეპტილიები და დინოზავრები
- ზღვის დინოზავრები
- ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
- ქართული მედიცინის განვითარება და საბავშვო ტექნიკა
- მსოფლიოს შვიდი საოცრება

4 ლარი

მწერალთა კორტრეტები (34x47 სმ)

- მისიელ ჯაგანოშვილი
- გიორგი ლეონიძე
- ირაკლი აბაშიძე
- ნოდარ დუმბაძე
- ბაკი ქვეთელი
- ქრისტინე ბაგრატიონი
- პოლო ნაგვილი
- სულხან-საბა ორბელიანი
- პოლიკარე ქაჯაბაძე
- გურამ რეაზორაძე
- დავით გურამიშვილი
- ბაკი
- რევაზ ინანიშვილი
- თეიმურაზ I
- განსახე VI
- გიორგი მერაბე
- გიორგი ორბელიანი
- დავით აღმაშენებელი

4 ლარი

რეკრუდუქციები

- პრეპროდუქტი ფიცი - შპს-ში დავიდი
- მწვეთის თანამდებობა - დოქტორი ბირლანდო
- ადამიანი გულს-გაუბრის პროტრეტი - გუსტავ კლიმტი
- მინიგები - დიდი ველსკისი
- დედოფალი სიბილა - მიძლანაშვილი
- მხატვრის ბავი - კლდე მონე
- უკვლევი შვილის დაბრუნება - რეზინანტი
- სამხელა - ობიუსტ რენუარი
- საპირბოთი გასიწება გრან შატის კუნძულები - ჟოზეფ სიორა

6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

თამაშური კლასები

პარიზელი მოსწავლის წარმატება

წარმატებით დასრულდა თბილისის მე-16 საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელიც დაიხურა დიტი ცინცაძის ფილმით „ბედნიერების ღმერთი“. ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ: ლაშა ბაქრაძე და თინა მელიაფა. ეს თინას პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმია, ამჟამად საფრანგეთში ცხოვრობს და პარიზის პრესტიჟულ სკოლაში სწავლობს.

ფილმი ქართველ ემიგრანტზე მოგვითხრობს, რომელიც გერმანიაში აფრიკელ მეგობართან ერთად ცხოვრობს. უმუშევარი მსახიობი გიორგი, მოულოდნელად, თავის 15 წლის ქალიშვილს ხვდება, რომელიც 10 წელია არ უნახავს. ის ამჟამად ცდილობს აჩვენოს შვილს, თითქოს მდიდარი და წარმატებული ადამიანია, გოგონა არც ისე სულელია. თინას დებიუტი ფრიად წარმატებული გამოდგა. მან თინე-

იჯერის საინტერესო და შთამბეჭდავი სახე შექმნა, რომელიც რთულ და უხერხულ ცხოვრებისეულ მომენტებში არ იბნევა და ყოველთვის ღირსეულ გამოსავალს პოულობს.

ფილმი მაყურებელს დიტი ცინცაძემ და მთავარი როლის შემსრულებელმა, ისტორიკოსმა ლაშა ბაქრაძემ ერთად წარუდგინეს. „ბედნიერების ღმერთი“ მაყურებელმა დადებითად შეაფასა. დრამატურგი ბესო ოდიშარია: „ნამდვილად მომეწონა როგორც ტექნიკური მხარე, ისე შინაარსობრივადაც. საინტერესო ფილმია. ძველი ფილმებისაგან განსხვავებით, რეჟისორმა თავისი ხელწერა ცოტა შეცვალა, რაც ახალ ფილმს მოუხდა.“

წელს ფესტივალი ქალთა უფლებებისა და გენდერული დემოკრატიის განვითარებას მიეძღვნა. „ქალთა ხედვა“/„Women Eyes“ – სექციის ფარგლებში მოეწყო ქალი რე-

ჟისორების მიერ გადაღებული სრულმეტრაჟიანი მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ჩვენება. მათი ნამუშევრები ფესტივალის სხვა სექციების ფოკუსშიც იყო წარმოდგენილი. წლევანდელი ფესტივალის რჩეული ფერი იასამნისფერი იყო, რაც ქალთა მიმართ ძალადობის საერთაშორისო კამპანიის სიმბოლოა. კინოჩვენებების გარდა, ფესტივალის ფარგლებში მოეწყო დისკუსიები ქალთა უფლებების, გენდერული ძალადობისა და ქალის, როგორც საზოგადოებრივად აქტიური ფიგურის საკითხის გარშემო. ლექცია-დისკუსიები ადგილობრივმა და სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან მოწვეულმა მომხსენებლებმა გამართეს.

რამაზ თოფურია



სერიის ფასი – 17.70ლ

ქართული ენა
გამატიყა და შრომდნრა

ქართული ენა
გამატიყა და შრომდნრა

ქართული ენა
გამატიყა და შრომდნრა

ქართული ენის კრებულები

აჩოვანი სასწავლო მათემატიკის თეორიული მათემატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

ნაშრომი და მომონი აზარი

საჩო „ნაშრომი და მომონი აზარი“ ჟანგინი I-VI კლასის მსწავლანისათვის, „კითხვის სათის“ სასიფიჩის მათემატიკით. ნიშნეში მთავარი: სასიჩის კითხვობი, მათემატიკის ნიშნეში, სასიჩის ჟანგინისათვის ნიშნეში სასიჩისათვის, რაც დასიჩისათვის სასიჩისათვის თუ მთავრებს, მათემატიკისათვის სასიჩისათვის ნიშნეში, კითხვის და მათემატიკისათვის ნიშნეში.

სერიის ფასი – 30.40ლ

ნამდვილი და მოგონილი აზარი

ნამდვილი და მოგონილი აზარი

ნამდვილი და მოგონილი აზარი

ნამდვილი და მოგონილი აზარი

სიასა



მთავრებით სასიჩისათვის მათემატიკის

კრებულები მათემატიკის მათემატიკის თეორიული მათემატიკისათვის და მათემატიკისათვის. მათემატიკისათვის მათემატიკისათვის. მათემატიკისათვის მათემატიკისათვის. მათემატიკისათვის მათემატიკისათვის.

აჩო მათემატიკისათვის მათემატიკისათვის მათემატიკისათვის მათემატიკისათვის მათემატიკისათვის მათემატიკისათვის. მათემატიკისათვის მათემატიკისათვის მათემატიკისათვის მათემატიკისათვის მათემატიკისათვის მათემატიკისათვის.

მათემატიკისათვის მათემატიკისათვის მათემატიკისათვის მათემატიკისათვის მათემატიკისათვის მათემატიკისათვის. მათემატიკისათვის მათემატიკისათვის მათემატიკისათვის მათემატიკისათვის მათემატიკისათვის მათემატიკისათვის.

მთავრებით სასიჩისათვის მათემატიკისათვის

გოლობი

ქიმი

ფიზიკა

მათემატიკა

თითოეული კრებულის ფასი – 9.90ლ